

მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის ივნისის თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შენონილი მეთოდი.



**ივნისის თვე / 2022**


მაისში ეტიკეტირებული ყველის მცირეოდენი გაიაფების შემდგომ ფასები კვლავ იზრდება. კერძოდ კი, იმერული ყველის და სულგუნის ფასი ერთ თვეში 1.8%-ით გაიზარდა, ხოლო ქარხნულ ყველზე კი მცირეოდენით შემცირდა.

**ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში**



**ივნისის თვე / 2022**

**არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზარში**




არაეტიკეტირებული ყველის ფასები შედარებით მეტი ცვალებადობით გამოირჩევა, განსხვავებით ეტიკეტირებულებისა. მარტიდან მაისის ჩათვლით 20%-მდე გაიაფების შემდგომ, ივნისში აგრარული ყველის ფასმა საგრძნობლად მოიმატა.

**ივნისის თვე / 2022**

წინა თვესთან შედარებით ეტიკეტირებულ მანონზე ფასები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. თუმცა, როგორც წინა გამოშვებაში აღვნიშნეთ, კომპანიების ნაწილი შეფუთვის წონას 20 გრამით ამცირებს.

**ეტიკეტირებული მანონის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი**



ივნისის თვე / 2022

ქსელურ მარკეტებში შედარებით მყისიერი ფასების მიუხედავად, ივნისში ეტიკეტირებულ საქონლის ხორცზე ფასები **შედარებით ცვალებადი იყო**, მაგალითისთვის, ეტიკეტირებული არტალა წინა თვესთან შედარებით 11.5%-ით გაძვირდა, ხოლო არაეტიკეტირებული კი მხოლოდ 1.3%-ით.

ეტიკეტირებული


საქონლის არტალა	11.5%	12.9 ლ
საქონლის ძვლიანი	0.9%	19.8 ლ
საქონლის რბილი	4.6%	23.6 ლ
ხბოს ძვლიანი	-3.2%	18.0 ლ
ხბოს რბილი	-3.9%	23.9 ლ

არაეტიკეტირებული

საქონლის არტალა	1.3%	10.5 ლ
საქონლის ძვლიანი	0.3%	17.4 ლ
საქონლის რბილი	1.4%	20.6 ლ
ხბოს ძვლიანი	1.3%	19.4 ლ
ხბოს რბილი	-0.9%	19.5 ლ

ივნისის თვე / 2022

ნედლი რძის ფასი გაიზარდა მთიან რეგიონებში, თუმცა შემცირდა აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში. შესაბამისად, ნედლი რძის საშუალო ფასი არ შეცვლილა.



ივნისის თვე / 2022

საქონლის საკვები **გაიაფებას აგრძელებს**, თვალსაჩინოა თივის ფასის 41%-ით შემცირება და მზესუმზირის შროტის 11%-იანი გაიაფება. განსხვავებით ამ პროდუქტებისა, ფასები მზა საკვებსა, სილოსსა და ქატოზე **არ შეცვლილა**, ბაზარზე ასევე **ხელმისაწვდომი გახდა იონჯა**, რომელიც მაისის შემდგომ უმეტესად ამონურული იყო.

	სილოსი	0.4 ლ	0% ≈		თივა	0.4 ლ	-41.2%		იონჯა	0.5 ლ
	ქერი	1.15 ლ	-8.0%		სიმინდი	1.10 ლ	-4.3%		ბაყიდვასია	
	სოიოს შროტი	2.68 ლ	-0.7%		მზესუმზირის შროტი	1.7 ლ	-10.5%		ხორბალი	1.2 ლ
	ქატო	1.25 ლ	0% ≈		ცხოველის მზა საკვები	1.65 ლ	0% ≈			